

DOI: 10.54635/tpks.2022.28putk

**ილია ჭავჭავაძის პროზის
შესწავლის ისტორიიდან
(კიტა აბაშიძის ეტიუდი ილია ჭავჭავაძის შესახებ)
FROM THE HISTORY OF STUDYING
ILIA CHAVCHAVADZE'S PROSE
(KITA ABASHIDZE'S ETUDE ON ILIA CHAVCHAVADZE)**

ლევან ბებურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Levan Beburishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

The essay on Ilia Chavchavadze's work is distinguished in terms of its capacity and literary value in Kita Abashidze's fundamental study entitled The Etudes on the 19th Century Georgian Literature.

When discussing Ilia's literary legacy, the main goal of K. Abashidze is to show the process of his creative evolution. The critic believes that Ilia was not free from the influence of Romanticism and that his gradual move from Romanticism to Realism is reflected in both lyrics and poetic epics as well as prose. The critic claims that we did not have a classic representative of Romanticism in Georgian prose. Even though Ilia is a realist writer in his main field, but the romantic flow was not foreign to his prose either. In this sense, Ilia himself created a prior stage for the development of realistic prose. In particular, K. Abashidze sees the elements of Romanticism in The Story of a Beggar. He indicates that we encounter the idealization of individual characters or situations in the story, which is characteristic of Romanticism.

According to the critic, the importance of Letters of a Traveller has not been properly assessed. In his opinion, the literature of Georgian "mountaineers" has emerged from the artistic world of this story. The national ideal expressed by Lelt Gunia has become a cornerstone of the work of the writers of the Georgian "Mountain School". According to K. Abashidze, Is a Man a Human?! was written based on the principles of classical realism. The critic points out that Ilia portrayed not only the images of nobles on the path leading to moral degeneration during the serfdom but in general, "true and unmistakable images of Georgian traits."

According to K. Abashidze, Otaraant Widow is the crown of Ilia's prose. If in his work entitled Is a Man a Human?! the writer depicts national types, in Otaraant widow he describes a universal image. As the critic concludes, the widow is such a clear, realistic character that she has hardly any counterpart in Georgian literature.

The main worth of K. Abashidze's reasoning on Otaraant Widow is that he showed the general character of the problem of mutual alienation raised in the story

and precisely identified the artistic function assigned to the character of Sosia, the miller. As exemplified by this character, the critic demonstrated that the problem of mutual alienation depicted in the story occurs in the scope of human relations in general, rather than merely in the context of the relationship between social strata.

საკვანძო სიტყვები: ქართული კრიტიკის ისტორია, ილია ჭავჭავაძე, კიტა აბაშიძე.

Keywords: History of Georgian criticism, Ilia Chavchavadze, Kita Abashidze.

კიტა აბაშიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“ თავისი მოცულობითა და ლიტერატურათმცოდნეობითი ღირებულებით გამორჩეული ნარკვევია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ. მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ევოლუციის კიტა აბაშიძისეულ ჯაჭვში ილია ჭავჭავაძე იკავებს რეალიზმის განმამტკიცებლისა და მწვერვალის ადგილს. კრიტიკოსი გვაძლევს ილიას პოეტურ და პროზაულ თხზულებათა პრობლემატიკისა და მხატვრული თავისებურებების მეტად საყურადღებო დახასიათებას, რაც ვრცელი საუბრის თემაა. ამჯერად შევჩერდებით კიტა აბაშიძის დაკვირვებებზე ილიას პროზის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე საუბრისას უპირველესი საკითხი, რომლის გარკვევასაც კრიტიკოსი ისახავს მიზნად, არის ილიას შემოქმედების გენეზისის პრობლემა ლიტერატურული გავლენის ზოგადთეორიული საკითხის კონტექსტში. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება, რომ ილიას შემოქმედებას 50-იანი წლების რუსული მწერლობის მიმბაძველობის ღრმა ნაკვალები აჩნდა. „კაცია-ადამიანის“ განხილვისას ალექსანდრე ცაგარელი აღნიშნავდა: „ეტყობა გოგოლის კილო და მიმართულება „კაცია-ადამიანსა“, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მზგავსება არის მარტო გარეგანი“ (ცაგარელი 1956: 96). ნიკო ნიკოლაძე იმავე აზრს იმეორებდა „გლახის ნაამბობთან“ დაკავშირებით: „გლახის ნაამბობში“ ჩვენს წინ ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი დგას, რომელზედაც ჯერ კიდევ უცხოეთის მწერლობას გავლენა აქვს, რომელსაც მიბაძვა თავიდან ვერ აუცილებია და რომელიც სხვისი კილოთი, სხვისი ენით ლაპარაკობს“ (ნიკოლაძე 1956: 221). ასეთი შეფასებები, ცხადია, დამაკნინებელი იყო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის.

კიტა აბაშიძე საკითხისადმი ასეთ მიდგომას არ იზიარებს და პრობლემის სხვაგვარ გააზრებას გვთავაზობს. იგი აღნიშნავს, რომ ლიტერატურული გავლენის საკითხი მეტად რთული თეორიული პრობლემაა: „რაიგა შეეხება ერთის ხალხის ლიტერატურის გავლენას მეორე ხალხის გონების წარმოებაზე, მეტად ცვალებადია იგი გავლენა, მეტად და საზოგადოდ ერთობ ძნელია მისი გარკვევით აღნიშვნა“ (აბაშიძე 1962: 145). კრიტიკოსის აზრით, ამა თუ იმ ლიტერატურული იდეის გენეზისის ძიებისას ხშირად რთულია პირველსაწყისის მიგნება. ეროვ-

ნულ ლიტერატურათა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა ცოცხალი პროცესია, ამიტომაც „დიდის სიფრთხილით უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურაში მიმბამველობის შესახებ“. როგორც წესი, მწერალი მექანიკურად კი არ ითვისებს უცხოურ კულტურულ ღირებულებებსა და სააზროვნო ტრადიციებს, არამედ უთავსებს მათ საკუთარი ხალხის სულიერ ინტერესებსა და ნაციონალური ლიტერატურის ამოცანებს. ლიტერატურის ისტორიკოსის ამოცანა კი არის არა უბრალოდ აღნიშვნა გავლენის ფაქტისა, არამედ იმის ჩვენება, თუ როგორ ხდება უკვე არსებულის გათავისება, განვითარება და მხატვრული გარდაქმნა ეროვნულ საფუძველზე.

კიტა აბაშიძის თქმით, თუ თვალს გადავავლებთ ევროპული ლიტერატურის ისტორიას, უმალ დავრწმუნდებით ამ მოსაზრების ჭეშმარიტებაში. ფაქტია, რომ მეთვრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურა ინგლისური მწერლობის ძლიერ გავლენას განიცდიდა. ზოგიერთი ავტორი მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ლიტერატურას ფრანგული მწერლობის წიაღიდან აღმოცენებულად მიიჩნევს, სხვანი კი, პირიქით, საუბრობენ რუსული ლიტერატურის გავლენაზე უახლესი ფრანგული პროზის ფორმირების პროცესში. კიტა აბაშიძის დასკვნით, ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ეხლანდელ გონების ნაწარმოებთა შინაარსი, დედაძარღვი, მთავარი მიმართულება საუკუნეების ცივილიზაციის შექმნილია და მეტად ძნელია კაცის გონებისათვის იმ აზრთა დასაბამი, იმ აზრთა შემქმნელი იპოვოს და გამოიძიოს“ (აბაშიძე 1962: 146).

კიტა აბაშიძე საკითხის ასეთ განმარტებას გვთავაზობს: 50-60-იანი წლების რუსული ლიტერატურის მთავარი დამსახურება იყო ჰუმანიზმის, ადამიანთა თანასწორობისა და ძმობის იდეათა მხურვალე ქადაგება, პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობისათვის ბრძოლა. ამ პერიოდის რუსული მწერლობის მთავარ ამოცანად იქცა „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ გამოქომაგება, ნათელყოფა იმ გარემოებისა, რომ დაბალი სოციალური ფენებიც არ არიან მოკლებულნი მაღალ ადამიანურ გრძნობებს. ეს ყოველივე, კიტა აბაშიძის თქმით, სრულიად არ წარმოადგენდა საკუთრივ რუსული მწერლობის მონაპოვარს. თუ იდეათა გენეზისს გავყვებით, აღმოვაჩენთ, რომ ყველა ის ძირითადი პრინციპი, რომელიც სახელმძღვანელოდ გაიხადეს რუსმა რეალისტებმა, უფრო ადრე იშვა ფრანგული რეალიზმის წიაღში. შესაბამისად, თუკი მივყვებით იმ კრიტიკოსთა ლოგიკას, რომელნიც ილიას საყვედურობენ რუსული მწერლობის მიბამვას, მაშინ მოგვიწევს რუსული ლიტერატურის კლასიკოსებსაც ვუსაყვედუროთ ფრანგული მწერლობის ეპიგონობა, რაც, ცხადია, ძალზე არასერიოზული იქნება. კიტა აბაშიძის სამართლიანი დასკვნით, არსებობს ევროპული ლიტერატურის, როგორც ორგანული მთლიანობის, საერთო თემები, მოტივები, რომლებიც მუშავდება ეროვნულ ლიტერატურათა სფეროში და არავითარი საფუძველი არ გვაქვს იმისათვის, რომ დავეჭვდეთ ილიას შემოქმედების თავისთავადობაში.

ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მსჯელობისას კიტა აბაშიძის მთავარი მიზანია, გვიჩვენოს მისი შემოქმედებითი ევოლუციის სურათი. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ილია არ ყოფილა თავისუფალი

რომანტიზმის გავლენისაგან და მისი, როგორც ხელოვანის, რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ თანდათანობით სვლა აისახება როგორც ლირიკაში, ასევე პოეტურ ეპოსსა და პროზაში. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართულ პროზაში არ გვევლინება რომანტიზმის კლასიკური წარმომადგენელი. მართალია, ილია თავისი ძირითადი მიმართულებით რეალისტი მწერალია, მაგრამ რომანტიკული ნაკადი არც მისი პროზისთვის ყოფილა უცხო. ამ აზრით, ილიამ თავად შექმნა წინარე საფეხური რეალისტური პროზის განვითარებისათვის. კერძოდ, რომანტიზმის ელემენტებს კიტა აბაშიძე ხედავს „გლახის ნაამბობში“. იგი მიუთითებს, რომ მოთხრობაში ვხვდებით ცალკეულ პერსონაჟთა თუ სიტუაციათა იდეალიზაციას, რაც რომანტიზმისთვისაა დამახასიათებელი. რომანტიზმულ სახეებად გვევლინებიან მღვდელი და გაბრიელი, რომლებიც, კრიტიკოსის თქმით, „უფრო პოეტის აზრისა და სურვილის გამომხატველი სიმბოლოები არიან, ვინემ ცოცხალი ტიპები“. გაბრიელი კიტა აბაშიძეს არარეალისტურ სახედ მიაჩნია, რადგან ის უფრო „უმაღლესი სასწავლებლიდან გამოსულ ახალგაზრდასა ჰგავს... ვინემ იმ დროის გაუთლელს, მოუხეშავსა და ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ გლეხის შვილს“ (აბაშიძე 1962: 191).¹ მიუხედავად იმისა, რომ მომღვარიც კიტა აბაშიძეს ცოტა სქემატურ პერსონაჟად ეჩვენება, მიიჩნევს, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე და მისითაა შთაგონებული ალექსანდრე ყაზბეგის „მომღვარი“.

მკაფიო რეალისტური სახე, კრიტიკოსის აზრით, არის დათიკო. ესაა ტიპი დარდიმანდი, აღვირახსნილი თავადიშვილისა, რომელიც თავის ყოველივეს საკუთარ ბიწიერ სურვილებს უქვემდებარებს. ზუსტია კიტა აბაშიძის დაკვირვება, რომ დათიკო გვევლინება არქექტიპად ქართულ მწერლობაში მის შემდეგ გამოჩენილი არაერთი პერსონაჟისა, იქნება ეს გ.წერეთლის იერემია წარბა („პირველი ნაბიჯი“), მელანიას კნიაზი შაქრო („ბნელო“) თუ ე. ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე („ჩვენი ცხოვრების რაინდი“).

„მგზავრის წერილების“ მნიშვნელობა, კრიტიკოსის აზრით, არ არის ჯეროვნად შეფასებული. მისი შეხედულებით, სწორედ ამ მოთხრობის მხატვრული სამყაროდან არის ამოზრდილი ქართველ „მთიელთა“ ლიტერატურა. ლელთ ღუნის პირით გამოთქმული ეროვნული იდეალი იქცა ქვაკუთხედად ქართული „მთის სკოლის“ მწერალთა შემოქმედებისათვის: „მოჩუბარძისა და რაზიკაშვილების თხზულებათა მთელი აზრი აქ, ამ ორ-სამ გვერდზედ არის მოთავსებული, საცა ავტორი მოხევეს ესაუბრება“ (აბაშიძე 1962: 143).

¹ თავის დროზე გაბრიელის შინაგანი კულტურისა და სულიერი სიმაღლის საყურადღებო ახსნა მოგვცა ნიკო ნიკოლაძემ. მისი აზრით, ილიამ ამ მოთხრობაში მხატვრულ დამაჯერებლობას იმით მიაღწია, რომ გაბრიელს სიყრმეში აღმზრდელად მღვდელი მიუჩინა, რომელიც მას ზნეობრივად წვრთნიდა სახარებასა და „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით. „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი ლაპარაკი“ და შეფერული ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია“ (ნიკოლაძე 1956: 230).

კლასიკური რეალიზმის პრინციპებითაა შექმნილი, კიტა აბაშიძის შეფასებით, „კაცია-ადამიანი?!“ კრიტიკოსი მიუთითებს, რომ ილიამ ამ მოთხრობით დაგვიხატა არა მხოლოდ ბატონყმობის პერიოდში ზნეობრივი გადაგვარების გზაზე მდგომი თავადების სახეები, არამედ ზოგადად, „ქართველების თვისებების ნამდვილი და უტყუარი სურათები“.

კიტა აბაშიძე ეხმიანება ალექსანდრე ხახანაშვილის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, „კაცია-ადამიანი“ გოგოლის „ძველი ყაიდის აზნაურების“ მიხედვითაა დაწერილი². კრიტიკოსის აზრით, ეს თვალსაზრისი მცდარია, რადგან გოგოლის მოთხრობაში, მართალია, ერთობ მარტივი სულიერი სამყაროს მქონე ცოლ-ქმრის უფერულ ცხოვრებას ვეცნობით, თუმცა ეს პერსონაჟები თავიანთი გულუბრყვილობითა და კეთილი ბუნებით მკითხველის თანაგრძნობას უფრო იმსახურებენ, ვიდრე აღშფოთებას. ამასთანავე, გოგოლი სენტიმენტალური იუმორით აღგვიწერს თავის გმირებს, ილია ჭავჭავაძე კი მრისხანე სატირიკოსის როლში გვევლინება.

ილიას პროზის გვირგვინი, კიტა აბაშიძის თქმით, არის „ოთარაანთ ქვრივი“. თუ „კაცია-ადამიანში“ მწერალი ეროვნულ ტიპებს გვიხატავს, უკანასკნელ მოთხრობაში იგი უკვე ზოგადსაკაცობრიო სახეს აღგვიწერს. კრიტიკოსის დასკვნით, ოთარაანთ ქვრივი ისეთი მკაფიო, რეალისტური პერსონაჟია, რომლის მსგავსიც ქართულ ლიტერატურაში ძნელი მოსაძებნია.

როგორც ცნობილია, ილიას თანამედროვეთა შორის გავრცელებული იყო ასეთი მოსწრებული გამოთქმა, რომ „ოთარაანთ ქვრივი თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო“ (მანსვეტაშვილი 1987: 431). როგორც ლიტერატურის ისტორიკოსები მიუთითებენ, ამ სიტყვებში არის სიმართლის გარკვეული წილი. ამ მხატვრული სახის შექმნისას ილიას მართლაც უთუოდ საკუთარი პიროვნებიდან უნდა აედო ზოგიერთი ნიშან-თვისება. კიტა აბაშიძე პირველი მკვლევარია, ვინც ამ მოსაზრებას ლიტერატურული ფორმით გამოთქვამს: „ოთარაანთ ქვრივი გახლავსთ ეგრეთვე თვით ავტორის ფსიქოლოგიურის, სულიერის თვისების გამომხატველი და მაჩვენებელი. რადგან, თუკი ოდესმე... მწერალს თავისი თვისებანი მისგან გამოსახულს ტიპში განუხორციელებია, თ. ილ. ჭავჭავაძემ ეს ოთარაანთ ქვრივის ტიპში გამოიჩინა“ (აბაშიძე 1962: 204). ამავდროულად ოთარაანთ ქვრივი, კიტა აბაშიძის თქმით, არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპი ქართველი ადამიანისა, მრავალგანსაცდელგამოვლილი, გაუტეხელი, ღრმად შემგნებული თავისი მოვალეობისა.

მოთხრობის დანარჩენი გმირები კრიტიკოსს მაინცდამაინც ვერ ხიბლავენ. გიორგი მას რომანტიზებულ პერსონაჟად მიაჩნია, რომელიც ნაკლებად გამოხატავს ქართველი გლეხის რეალურ სახეს. რაც შეეხება არჩილს, კრიტიკოსი იზიარებს სტეფანე ჭრელაშვილის მოსაზრებას, რომ არჩილი ლუარსაბის სულიერი მემკვიდრეა ახალ დროში, „უფრო გათლილი და გაშალაშინებული თავისი მამაზე“. ძნელია დავეთანხმოთ კიტა აბაშიძეს,

² ალექსანდრე ხახანაშვილი მიუთითებდა: „უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსის მწერლებს საერთოდ გავლენა მოუხდენიათ ილიაზე. „კაცია-ადამიანის“ წამკითხველი მოიგონებს გოგოლის სტაროსვეტსკიე პომეშჩიკის“ (ხახანაშვილი 1913: 98).

რომ არჩილი იმ საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლად გვევლინება, რომელსაც „მაღალ-მაღალის ფრაზებით აქვს ავსებული თავი, სულის სიღრმემდის კი არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ ჩასწვდენია“ (აბაშიძე 1962: 201). ნაწარმოები ნამდვილად არ გვაძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს.

უფრო მეტად არ მოუდის თვალში კრიტიკოსს არჩილის და – კესო, რომელიც, მისი კატეგორიული შეფასებით, „რაც განყენებულსა და უშინაარსო ქმნილებას“, „ნულს“ წარმოადგენს. ილიას, რა თქმა უნდა, კესო არ ჰყავს ასეთ პერსონაჟად ჩაფიქრებული. კესოს დადანიშნულება გაუმართლებელია იმის გამო, რომ მან არ უპასუხა გიორგის გრძნობას, აკი თავად კრიტიკოსიც აღნიშნავს, რომ კესო ვერც კი მიხვდა, ოთარაანთ ქვრივის ვაჟს თუ უყვარდა.

„ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ კიტა აბაშიძის მსჯელობის უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მან გვიჩვენა მოთხრობაში წამოჭრილი ურთიერთგაუცხოების პრობლემის ზოგადსაყოველთაო ხასიათი და ზუსტად განსაზღვრა სოსია მეწისქვილის პერსონაჟის მხატვრული ფუნქცია. ეს პერსონაჟი, რომელსაც რატომღაც დიდი ათვალწუნებით ეპყრობოდა ქართული კრიტიკა³, კიტა აბაშიძის მოსაზრებით, „რაც უცნაურ სიმბოლოს წარმოადგენს, სიმბოლოს ერთის ადამიანის გრძნობის მეორისაგან შეუგნებლობისას. სამჯერ თითქო მიტომ გამოდის სცენაზედ, რომ დანახვოს მკითხველს, თუ რარიგად ყოველგან, საზოგადოების ყოველ ადგილსა და ყოველს საფეხურზედ სუფევს იგივე შეუგნებლობა ერთმანეთისა, იგივე გულის სიგრილე და იგივე „მარტოობა სულისა“, რომელსაც დასტიროდა ყოველი დიდსულოვანი მწერალი – შექსპირიდან მოკიდებული ბარათაშვილამდე“ (აბაშიძე 1962: 210). ამ პერსონაჟის მაგალითზე კრიტიკოსმა დაგვანახა, რომ ურთიერთგაუცხოების პრობლემა მოთხრობაში მხოლოდ სოციალურ ფენათა ურთიერთობის ჭრილში კი არ დგას, არამედ, ზოგადად, – ადამიანურ ურთიერთობათა სიბრტყეზე. კიტა აბაშიძის მართებული აზრით, მწერალმა გვიჩვენა, რომ ხიდი შესაძლოა ჩატეხილი იყოს არა მხოლოდ თავადებსა და გლეხებს, არამედ ერთი და იმავე სოციალური ფენის ადამიანებს შორის (სოსია მეწისქვილე და სოფლელები, სოსია და ოთარაანთ ქვრივი), უფრო მეტიც, დედასა და შვილს შორისაც კი (ოთარაანთ ქვრივი და გიორგი). „დიაღ, ეს მარტოობა სულისა, ეს ერთმანეთის გაუგებლობა, ერთმანეთის მიმართ გულგრილობა... მთელის მოთხრობის უმთავრესი თემაა“ (აბაშიძე 1962: 211).

გაკვრით ეხება კიტა აბაშიძე ილიას დაუმთავრებელ მოთხრობას „უცნაური ამბავი“. იგი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი თხზულებიდანაც აშკარაა, ილია კვლავ გამალებით უსმენს ერის გულისცემას და ნაწარმოებში ჩანასახის ფორმით გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – მისწრაფება ინტელიგენციის სულიერი ცხოვრების ასახვისადმი: „იქ გამოყვანილი სემინარიელის ტიპი სოლომონი, თუმცა ჯერ მხოლოდ აღნიშნულია, მაინც ავტორის ჩვეულებრივი ნიჭისა და ხელოვნების საბუთს გვაძლევს... გარდა ამისა, ეს მოთხრობა არის პირველი საყურადღებო ცდა ჩვენ ინტელიგენტთა წოდების სულიერ თვისებათა დახასიათებისა“ (აბაშიძე 1962: 212).

³ იხ. მაგ., დავითაშვილი 1887; ხელთუფლიშვილი 1957.

ილიას შემოქმედების შესახებ მსჯელობას კიტა აბაშიძე იმის აღნიშვნით ამთავრებს, რომ ილია ჭავჭავაძემ შექმნა მთელი ლიტერატურული სკოლა ქართულ პროზაში და მის მოწაფეებად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვა ტალანტისა და შემოქმედებითი ინტერესების მქონე ავტორები: გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, დავით კლდიაშვილი და სხვ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კიტა აბაშიძის ეტიუდი ილია ჭავჭავაძის შესახებ სავსეა ღრმა და სერიოზული დაკვირვებებით. მიუხედავად კრიტიკოსის ზოგიერთი ნაკლებად გასაზიარებელი თუ მცდარი შეხედულებისა კიტა აბაშიძის გამოკვლევა თავისი დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომია ილიას შემოქმედების შესახებ და მასში წამოყენებული სახელმძღვანელო მნიშვნელობის დებულებებს გვერდს ვერ აუვლის ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მკვლევარი.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე 1962: აბაშიძე კ., ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ. თბილისი, 1962.

დავითაშვილი 1887: დავითაშვილი შ., „ჩატეხილი ხიდი“: „ოთარაანთ ქვრივის“- ს ბ. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის შესახებ. მკითხველის შენიშვნები. ტფილისი, 1887.

მანსვეტაშვილი 1987: მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი, წიგნში: მოგონებები გარდასულ დღეთა – ილია. თბილისი, 1987.

ნიკოლაძე 1956: ნიკოლაძე ნ., „გლახის ნაამბობზე“, ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ. II, თბილისი, 1956.

ცაგარელი 1956: ცაგარელი ა., ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, ტ. II, თბილისი, 1956.

ხახანაშვილი 1913: ხახანაშვილი ა., ქართულის სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე). თბილისი, 1913.

ხელთუფლიშვილი 1957: ხელთუფლიშვილი მ., რამდენიმე შენიშვნა შესახებ ილ. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. თბილისი, 1957.